# *MAIN*
# ***M**ultilingual **A**ssessment **I**nstrument*
# *for **N**arratives*

N. Gagarina, D. Klop, S. Kunnari,
K. Tantele, T. Välimaa,
U. Bohnacker & J. Walters

## **Georgian**

Translated and adapted by
Mariam Kobuladze, Dato Abashidze
& Maka Tetradze

(based on the revised version in English)

© ZAS Papers in Linguistics 64 (2020)

**How to cite this version:**
Gagarina, N., Klop, D., Kunnari, S., Tantele, K., Välimaa, T., Bohnacker, U. & Walters, J. (2019). MAIN: Multilingual Assessment Instrument for Narratives – Revised. Materials for use. *ZAS Papers in Linguistics*, *63*. Georgian version. Translated and adapted by Kobuladze, M., Abashidze, D., & Tetradze. M.

**MAIN: Georgian**

**მონათხრობების შეფასების მრავალენოვანი ინსტრუმენტი (მშმი)**

მარიამ ქობულაძე, დათო აბაშიძე და მაკა თეთრაძე

მონათხრობების შეფასების მრავალენოვანი ინსტრუმენტი (მშმი) შეიქმნა 2012 წელს იმ მიზნით, რომ შეაფასოს ისეთ ბავშვთა თხრობის უნარი, რომლებიც დაბადებიდან ან მცირე ასაკიდან ერთ ან მეტ ენას ფლობენ. მშმი, ძირითადად, 3-დან 10 წლამდე ბავშვებისთვის შეიქმნა, მაგრამ ბოლო პერიოდში შესრულებულმა სამუშაოებმა აჩვენა, რომ მისი გამოყენება შესაძლებელია ასევე უფროსი ასაკის ბავშვებთან, მოზარდებთან და ზრდასრულებთან. მისი დიზაინი საშუალებას იძლევა შეფასდეს ერთი და იმავე ბავშვის რამდენიმე ენაზე ამბის გაგების უნარი და გადმოცემის სხვადასხვა მეთოდები: ამბის აგების, ამბის თხრობისა და სხვისი ნაამბობის გადმოცემის დროს. 2012 წლის ვერსია შემუშავდა 500-ზე მეტი ერთ- და მრავალენოვან ბავშვებთან (3-დან 10 წლამდე) ფართო პილოტირების შედეგად 15 სხვადასხვა ენისა და ენათა კომბინაციებისთვის.

2019 წელს ინგლისური ვერსია გადაიხედა მშმი-ს 2500-ზე მეტი მონათხრობისა და დაახლოებით 24000 კითხვარის პასუხის საფუძველზე, რომლებიც შეიკრიბა გერმანიის, რუსეთისა და შვედეთის მკვიდრი 700-ამდე ერთ- ან მრავალენოვან ბავშვებთან მუშაობით 2013-2019 წლებში. ქართული ვერსია ეფუძნება 2019 წლის ინგლისურ ვერსიას (პირველი კვლევის შედეგების მშმი-ს გამოყენებით წარდგენილი იქნა 2020 წელს კონფერენციაზე ფილადელფიაში).

მშმი შედგება ოთხი პარალელური ამბისაგან, რომლებსაც თან ერთვის საგულდაგულოდ შერჩეული, თხრობის ორგანიზების მრავალგანზომილებიან მოდელზე დაფუძნებული ექვსი თანმიმდევრული სურათი. ეს ამბები მოწმდება კოგნიტიური და ენობრივი სირთულის, მაკროსტრუქტურასა და მიკროსტრუქტურაში პარალელიზმის, ასევე კულტურული შესაბამისობისა და სიმტკიცის მიხედვით.

მიუხედავად იმისა, რომ მშმი-ში ჯერ კიდევ არ არის დადგენილი როგორც ნორმა, მისი სტანდარტიზებული პროცედურები გამოიყენება შეფასების, ჩარევისა და კვლევის მიზნით. მშმი-ს გამოყენების დეტალური ინფორმაციისათვის გაეცანით თავს მშმი-ს წინაპირობას "*როგორ გამოვიყენოთ და მოვახდინოთ მისი ადაპტაცია სხვა ენებზე*" (ინგლისურად), კრებულში *ZAS papers in Linguistics* 63 (2019 გვ. iv - xii), რომელიც ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://zaspil.leibniz-zas.de/issue/view/53.

ეს დოკუმენტი შეიცავს:

- შეფასებების სახელმძღვანელოს
- პროტოკოლებს, შეფასების ფურცლებს *ძაღლების, კატების, ფრინველების და ცხვრების* ეპიზოდებზე
- ფონურ კითხვებს
- ამბის სცენარებს

**შეფასების სახელმძღვანელო**

მშმი უპირველეს ყოვლისა განკუთვნილია 3 დან 10 წლამდე ბავშვებისთვის, მაგრამ ამავდროულად შეიძლება გამოვიყენოთ უფროსი ასაკის ბავშვებთან, მოზარდებთან და ზრდასრულებთან. მშმი (MAIN) აფასებს ნაწარმოების, მონათხრობის, როგორც გააზრების ასევე შექმნის შესაძლებლობებს. ის ასევე საშუალებას იძლევა სხვადასხვა გამოვლენის შემთხვევები: ამბის მოდელირების დროს, ამბის თხრობის და სხვა წყაროდან მოსმენილი ამბის ხელახლა მოყოლის დროს. ამ სხვადასხვა პროცედურის ამორჩევა (მაგალითად ამბის აგება, სხვისი ნაამბობის გადმოცემა) დამოკიდებულია შეფასების მიზნებსა და სურვილზე (გამომცდელებს შეუძლიათ გამოიყენონ თავიანთი შეხედულებებისამებრ).

მშმი-ის (MAIN) დიზაინი ქმნის შესაძლებლობას შეფასდეს ერთი ბავშვის სხვადასხვა ენის ცოდნის დონე. ნებისმიერი ენა შეიძლება შეფასდეს პირველად. მრავალი ენის მცოდნე ბავშვებისთვის ორი ენის შესაფასებელ ტესტს შორის დროითი ინტერვალი უნდა იყოს 4-დან 7 დღემდე, იდეალურ შემთხვევაში, რათა შემცირდეს ენებსშორისი ზეგავლენა (ისევე, როგორც, სწავლებისა დ გადატანის ეფექტები). იდეალურ სიტუაციაში, ბავშვის შეფასება ყველა ენაში არ უნდა ხდებოდეს ერთი და იმავე ადამიანის მიერ, რათა შეიქმნას მონოლინგვური კონტექსტი და შემცირდეს კოდის ცვლილება.

*გამოსაყენებელი მასალები*

- 4 თანმიმდევრული სურათი: *ბარტყები, თიკანი, კატა და ძაღლი* (თითოეული ამბის სამი ასლი (ფერადი), თითოეული ასლი სხვადასხვა კონვერტებშია მოთავსებული; კონვერტების რაოდენობა სულ 12 უნდა იყოს).
- ოთხი ამბის სცენარი/ სტიმულირების ტექსტები: *ბარტყები, თიკანი, კატა და ძაღლი.*
- ჩამწერი საშუალება (აუდიო ან ვიდეო).
- მაკროსტრუქტურის ანალიზის, შინაგანი მდგომარეობის აღწერისათვის და აღქმისთვის, გააზრებისთვის განკუთვნილი კითხვების შეფასების პროტოკოლი
- ზოგადი, ფონური კითხვები (კითხვარი მშობლებისთვის)

*ინსტრუქციები*

**როგორ მოვამზადოთ მასალები**

1. სურათის გადმოწერა (დაუკავშირდით ავტორს)
2. ამობეჭდეთ თითო PDF ფაილი (ე.ი. თითოეული სურათი და ამბავი) სამჯერ. აუცილებელია, რომ ამობეჭდილი იყოს ფერადი პრინტერით თეთრ A4 ზომის ფურცელზე. თითო სურათი უნდა იყოს 9 x 9 სმ ზომაში.
3. სურათები დანომრეთ უკან (1-დან 6-ის ჩათვლით).
4. გამოჭერით სურათების ორი მწკრივი.
5. ჩააკარით სურათები ექვს სურათიან ზოლში ისე, როგორც ქვევით არის ნაჩვენები (სურათი 1, 2, 3, …, 6) შენიშვნა: ნუ გამოჭრით და გამოიყენებთ იმ სურათებს, რომლებიც გამოყენებულია “როგორ დავკეცოთ” ინსტრუქციაში.



6. სურათთა თითოეული მწკრივი/ მიმდევრობა (6 სურათი) ჩადეთ ცალ-ცალკე კონვერტში, რომლებიც დანიშნული იქნება ფერით ან რაიმე ერთმანეთისგან განმასხვავებელი ნიშნით (მაგალითად, წერტილი), რათა მოხდეს ამბის იდენტიფიცირება.

**როგორ წარვმართოთ შეფასება**

- დარწმუნდით, რომ საფუძვლიანად გაეცანით სიუჟეტის პროტოკოლებსა და ინსტრუქციებს.
- სესიის ჩასაწერად მოამზადეთ აუდიო/ ვიდეო აღჭურვილობა. სესიის ჩაწერა დაიწყეთ მოსამზადებელ ფაზამდე. დარწმუნდით, რომ იწერთ სრულ სესიას, რომელიც ასევე მოიცავს ბავშვის პასუხებს გააზრების კითხვებზე.
- მოსამზადებელი ეტაპი უნდა ეფუძნებოდეს თქვენს წინა გამოცდილებას და იმ კულტურულ გარემოს, რომელშიც ბავშვი იმყოფება. ბავშვთან საუბრისას აუცილებელია ჩამოყალიბდეს ურთიერთგაგება, დაუსვით კითხვები, რათა დარწმუნდეთ, რომ ბავშვს შეუძლია მარტივი კითხვების გაგება, გაანალიზება. მაგალითისთვის: *ვინ არის შენი საუკეთესო მეგობარი? ტელევიზორში რისი ყურება გიყვარს? გიყვარს ამბების მოყოლა? გიყვარს ამბების მოსმენა?*
- დარწმუნდით, რომ შეფასების დაწყებამდე სამი კონვერტი, რომლებშიც მოთავსებულია ერთი და იგივე სურათების მწკრივი, მაგიდაზე დევს. (კონვერტების ასეთი წარმოჩენის მიზანი არის ის, რომ ბავშვმა იფიქროს, რომ გამომცდელმა არ იცის, თუ რა ამბავი აირჩია მან. ეს კი გამომცდელს ეხმარება გააკონტროლოს საერთო ცოდნის ეფექტი სურათთა მწკრივების წარმოდგენის დროს).
- შეფასება უნდა გაკეთდეს ამბის პროტოკოლ(ებ)ის ინსტრუქციების შესაბამისად. (გთხოვთ, მისდიოთ მინიშნებებს).
- სურათების ჩვენებისათვის დამატებითი ინფორმაცია: ექსპერიმენტის დროს თქვენ უნდა იჯდეთ ბავშვის პირდაპირ, რათა ბავშვს შეეძლოს ნაჩვენები სურათების დაჭერა. როცა ბავშვი ამოიღებს სურათს კონვერტიდან, უთხარით, გახსნას გადაკეცილი ფურცელი ისე, რომ დაინახოს სურათების მთლიანი თანმიმდევრობა პირველი სურათიდან ბოლო სურათის ჩათვლით; უთხარით: *"შეხედე სურათებს, მაგრამ მე არ დამანახო. ამბავი, მონათხრობი მხოლოდ შენ უნდა დაინახო"* (თუ ბავშვს უჭირს სურათების დაჭერა ან გადაკეცილი სურათების გახსნა, დაიჭირეთ თქვენ ისე, რომ სურათები ბავშვისკენ იყოს მიმართული).
- როცა ბავშვი მზად არის მოყვეს ამბავს, გადაკეცეთ სურათი სამჯერ. თქვენ შეგიძლიათ მართოთ სურათის დაკეცვის პროცესი ისე, რომ არ შეხედოთ სურათებს და ამავდროულად ისე, რომ ბავშვს ეკავოს ისინი. უთხარით ბავშვს, რომ დაიწყოს ამბის თხრობა, როცა უყურებს პირველ ორ სურათს. როცა პირველი ორი სურათის დათვალიერებას დაასრულებს, უთხარით, რომ გახსნას შემდეგი ორი სურათი (ახლა სურათები ნომრებით 1-4 იქნება გახსნილი). როცა ბავშვი ამასაც დაასრულებს, უთხარით, რომ შემდეგი ორი სურათიც გახსნას. ამით მთელი ამბავი გახსნილი იქნება.
- როცა ბავშვი დაამთავრებს ამბის თხრობას, გააცანით კითხვარი. უთხარით: *"ახლა, ამბავთან დაკავშირებით კითხვებს დაგისვამ"*. კითხვების დასმის განმავლობაში სურათთა მწკრივი გქონდეთ გაშლილი ისე, რომ თქვენც და ბავშვიც ხედავდეთ.
- სესიის დამთავრების შემდეგ, გადაწერეთ აღწერილი ამბავი და შეაფასეთ ბავშვის პროდუქტიულობა და აღქმა-გააზრების უნარი შეფასების ფურცელზე.
- **დაიმახსოვრეთ**: შეფასების ფურცელში ვარიანტთა სია არ არის ამომწურავი. კრედიტი ენიჭება მაშინ, როდესაც მაკროსტრუქტურის კომპონენტი (მიზანი,

მცდელობა, შედეგი, შინაგანი მდგომარეობა) გამოიხატება ნებისმიერი შესაბამისი ფორმულირებით. გაეცანით სახელმძღვანელოს.

**მინიშნებები**

1. არ დაიწყოთ ბავშვისთვის ამბის თხრობა. წაახალისეთ, გაამხნევეთ ბავშვი, რომ მან თავისით დაიწყოს ამბის თხრობა. გამოიყენეთ ფრაზა: *"მომიყევი ამბავი"* (მიუთითეთ სურათზე).
2. უკარნახეთ ბავშვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ეტყობა, რომ 10 წამის შემდეგაც არ აპირებს რამის თქმას. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ბავშვს წაეხმაროთ ამგვარი ფრაზებით: *"კარგი…", "ახლა შენი ჯერია…".* გთხოვთ, ძალიან ფრთხილად იყავით მითითებებთან დაკავშირებით, რათა თავიდან აიცილოთ ისეთი განსხვავებები საკვლევ ჯგუფებს შორის, როგორიცაა ექსპერიმენტატორის ეფექტები. დაიცადეთ დაახლოებით 10 წამი. თუ ბავშვი ისევ ჩუმად არის, დაეხმარეთ ფრაზით: *"მიამბე, რა ხდება".* თუ ბავშვი ჩუმდება ამბის მოყოლისას, გაამხნევეთ იგი შემდეგი ფრაზებით: *"კიდე რამეს მეტყვი?", "განაგრძე", "კიდევ მომიყევი", "მოდი ვნახოთ, კიდე რა ხდება აქ".*
3. არ აქვს მნიშვნელობა, ბავშვი ამბის პერსონაჟებს როგორ მოიხსენიებს. არ შეუსწოროთ. თუ ბავშვს უჭირს მოუძებნოს სახელი მოქმედებას ან გმირს და ა.შ. და ჩანს, რომ შეფერხდა თხრობისას ან თუ ითხოვს დახმარებას, გაამხნევეთ შემდეგი ფრაზებით: „შეგიძლია ის დაარქვა, რაც შენ გინდა", *„შენ რას დაარქმევდი?"*
4. თავი შეიკავეთ შემდეგნაირი კითხვების დასმისგან:
   ა) *"ის აქ რას აკეთებს", "ვინ მირბის?"*
   ბ) *"ეს რა არის?", "რას / ვის ხედავ სურათზე?"* (არ უნდა მოხდეს ბავშვის მონათხრობზე ზეგავლენა, არ მივცეთ უფლება გამოიყენოს არასრული წინადადებები და თავი აარიდოს დეიქტურ გამოთქმებს, მაგ. "აქ", "შენ", "მე", "მომდევნო დღეს" და ა.შ.)
5. თუ ბავშვი დაიწყებს თავის გამოცდილებაზე დაყრდნობით ამბის თხრობას, მაგალითად: *"ასეთი ფრინველი დღეს დილით დავინახე"*, ან *"დედაჩემთან ერთად წავალ სუპერმარკეტში სკოლის შემდეგ …",* ადროვეთ, ილაპარაკოს ამაზე და შემდეგ სთხოვეთ, რომ დაიწყოს სურათებზე ასახული ამბის თხრობა (ანალიზისას ამოიღეთ ეს შეუსაბამო ნაწილი მონათხრობითან).
6. თქვენი გამოცდილებისა და კულტურული გარემოს გათვალისწინებით, უკეთესი იქნება, თუ გამოიყენებთ გამამხნევებელ სიტყვებს, როგორებიცაა "კარგია", *"მშვენიერია", "მაგარია",* ყოველი შემდეგი წყვილი სურათის შემდეგ (და შემდეგი წყვილის გაშლის წინ). (რაც ასევე დაეხმარება ტექსტის გამშიფვრელს, დაადგინოს დროითი მონაკვეთები კონკრეტული სურათის წყვილთან). თუმცა, ნუ გააკეთებთ ამას, თუ ფიქრობთ, რომ ეს არღვევს ბავშვის თხრობის და აზროვნების მიმართულებას.

**როგორ (არ) შევადაროთ ერთმანეთს მონათხრობების შედეგები**

- როცა ვცდით ორენოვან ბავშვს, არ გამოიყენოთ კატისა და ძაღლის ამბავი ერთი ენისათვის და ბარტყისა და თიკნის ამბავი - მეორე ენისათვის.
- ასევე, თავიდან აიცილეთ კატისა და/ ან ძაღლის ამბის გამოყენება ტესტირების ერთ შეხვედრაზე და მისი შეადარება ბარტყებისა და/ ან თიკნის ამბავთან ტესტირების სხვა შეხვედრაზე.
- რატომ? მშმი-ის ამბების შედარება პირდაპირ შეუძლებელია. როგორც ბოლო კვლევებმა აჩვენა, ეს ოთხი ამბავი ერთმანეთისგან განსხვავდება გარკვეული ნიუანსებით, განსაკუთრებით ეს განსხვავება ჩანს კითხვებში. ბარტყებისა და

თიკნის ამბები ასე თუ ისე პარალელურია (ერთმანეთს ჰგავს). კატისა და ძაღლის ამბებიც პარალელურია (ერთმანეთს ჰგავს), თუმცა განსხვდებიან ბარტყებისა და თიკნის ამბებსგან, განსხვავებები შეიძლება ეხებოდეს შინაარსს, პერსონაჟების რაოდენობასა და ზოგ აღქმის საკითხებს. ამიტომაც დარწმუნდით, რომ ვაშლებს არ ადარებთ მსხლებს.

- მშმი-ის გამოყენებით ბავშვთა ჯგუფის შემოწმებისას, დარწმუნდით, რომ იყენებთ სათანადო საპირწონე პროცედურებს იმისათვის, რომ მინიმუმამდე შემცირდეს ამბისა და/ ან მონაცემების შეკრების პროცესების შედეგები (სხვისი ნაამბობის გადმოცემა, ამბის აგება, ამბის თხრობა).

*ქულათა გათაბანაბრების პროცედურები კვლევის მიზნებისთვის*

პრეზენტაციის მიმდევრობა საპირწონე უნდა იყოს ენასთან და ამბავთან (ძაღლი/ კატა - (ძირითადად) ამბის აგება/ სხვისი ნაამბობის გადმოცემა და ბარტყები/ თიკნები - (ძირითადად) ამბის თხრობა). გამოიყენეთ შემდეგი გათანაბრების პროცედურა (თუ ცდა ტარდება მხოლოდ ერთ ენაზე, გამოიყენეთ რენდომიზაციის პროცედურა ბავშვებთან ან ნომრებით 1, 2, 5 და 6 ან ნომრებით 3, 4, 7 და 8):

| ბავშვების ნომრები | ენა | ამბის აგება/ სხვისი ნაამბობის გადმოცემა | ამბის თხრობა | ენა | ამბის აგება/ სხვისი ნაამბობის გადმოცემა | ამბის თხრობა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | L1[1] | კატა | ბარტყები | L2 | ძაღლი | თიკნები |
| 2 | L1 | კატა | თიკნები | L2 | ძაღლი | ბარტყები |
| 3 | L2[2] | კატა | თიკნები | L1 | ძაღლი | ბარტყები |
| 4 | L2 | კატა | ბარტყები | L1 | ძაღლი | თიკნები |
| 5 | L1 | ძაღლი | ბარტყები | L2 | კატა | თიკნები |
| 6 | L1 | ძაღლი | თიკნები | L2 | კატა | ბარტყები |
| 7 | L2 | ძაღლი | თიკნები | L1 | კატა | ბარტყები |
| 8 | L2 | ძაღლი | ბარტყები | L1 | კატა | თიკნები |

გაითვალისწინეთ, რომ სხვადასხვა სიუჟეტებისა და მონაცემების შეკრების შედეგების შედარება პირდაპირ შეუძლებელია (იხილეთ ზემოთ).

[1] L1 - დედა ენა/ ბავშვის პირველი ენა

[2] L2 - ბავშვის მეორე ენა

**პროტოკოლი კატისთვის**

<u>თხრობა / სხვისი ნაამბობის გადმოცემა / ამბის აგება</u>

ბავშვის სახელი, გვარი: ____________________

ბავშვის დაბადების თარიღი: ____________________

ცდის თარიღი: ____________________

ასაკი ცდის მომენტისთვის (თვეებში): ____________________

სქესი: ____________________

ექსპერიმენტატორის სახელი, გვარი: ____________________

მეორე ენის (L2) ფლობის პერიოდი (თვეებში): ____________________

საბავშვო ბაღში შესვლის თარიღი: ____________________

საბავშვო ბაღის სახელი: ____________________

დარწმუნდით, რომ ყველა კონვერტი სურათების სერიებით მოთავსებულია მაგიდაზე ცდის დაწყებამდე. მოამზადეთ აუდიო ჩამწერი და დაიწყეთ ჩაწერა მოსამზადებელ ფაზამდე.

**მოსამზადებელი ფაზა**

დაუსვით ბავშვს მსგავსი კითხვები: ვინაა შენი საუკეთესო მეგობარი? რისი ყურება გიყვარს ტელევიზორში? მოგწონს ამბების მოყოლა? გიყვარს ამბების მოსმენა?

**ინსტრუქციები**

**ინსტრუქციები თხრობისთვის**

მოთავსდით ბავშვის პირისპირ და უთხარით: *შეხედე, აქ არის სამი კონვერტი. თითოეულ კონვერტში არის სხვადასხვა ამბავი. აირჩიე ერთ-ერთი და მერე მიამბე ეს ამბავი.* გაშალეთ სურათები ისე, რომ მთლიან მიმდევრობას მხოლოდ ბავშვი ხედავდეს. *ჯერ შეხედე მთლიან ამბავს. მზად ხარ?*

გახსენით 1-ელი და მე-2 სურათები (რომლებსაც ხედავს მხოლოდ ბავშვი). უთხარით ბავშვის: *მე მინდა, რომ მომიყვე (მოყვე) ამბავს. შეხედე სურათებს და ეცადე, რომ მიამბო საუკეთესო ამბავი, რომელიც შენ შეგიძლია.* დაშვებულია მინიშნება, თუ ბავშვი თავს იკავებს დაწყებისგან: *„მომიყევი ამბავი“* (მიუთითე სურათზე). როცა ბავშვი დაასრულებს 1-ლი და მე-2 სურათის შესახებ თხრობას, გახსენი შემდეგი (ისე, რომ ყველა სურათი პირველიდან მეოთხემდე იყოს ბავშვისთვის ხილული/ აღქმადი). გაიმეორე ეს პროცესი ამბის/ თხრობის დასრულებამდე. ნებადართულია მინიშნება თუ ბავშვი ჩუმდება ამბის თხრობის დროს: *„დაამატებ კიდევ რამეს?“ „გააგრძელე“, „მომიყევი უფრო მეტი“, „შეხედე, კიდევ რა არის ამ ამბავში/ ან რას დაამატებდი“.* თუ ბავშვი შეწყვეტს საუბარს მითითების გარეშე, რომ მან დაასრულა ამბის მოყოლა ჰკითხე: *„მითხარი, როდესაც დაასრულებ“.* როდესაც ბავშვი დაასრულებს, შეაქეთ და შემდეგ დაუსვით ამბის გაგების კითხვები.

**სხვისი ნაამბობის გადმოცემის ინსტრუქციები**

მოთავსდით ბავშვის პირისპირ და უთხარით: *შეხედე, აქ არის სამი კონვერტი. თითოეულ კონვერტში არის სხვადასხვა ამბავი. აირჩიე ერთ-ერთი და მერე მიამბე ეს ამბავი.* გაშალეთ სურათები ისე, რომ მთლიან მიმდევრობას მხოლოდ ბავშვი ხედავდეს. *ჯერ შეხედე მთლიან ამბავს. მზად ხარ? მე მინდა გიამბო ამბავი და შემდეგ შენ შეგიძლია ის მე გამიმეორო.* (არჩეულ ამბავზე უთხარი, რომ: *მე ვაპირებ გიამბო ამბავი და შემდეგ დაგისვამ რამდენიმე შეკითხვას.* უამბე ბავშვს ამბავი და შემდეგ დაუსვი ამბის გაგების კითხვები).

გაშალე 1-ელი და მე-2 სურათი. *ამბავი იწყება აქ* (მიუთითე პირველ სურათზე, მაგ: თითის დადებით). *ერთ მშვენიერ დღეს, ერთმა ცელქმა კატამ დაინახა ყვითელი პეპელა ბუჩქზე. კატამ წინ წაიწია, რადგან უნდოდა პეპლის დაჭერა. ამ დროს, მხიარული ბიჭი თევზაობიდან ბრუნდებოდა სათლითა (ვედროთი) და ბურთით ხელში. ბიჭმა დაინახა, როგორ დასდევდა კატა პეპელას".*

გახსენით მე-3 და მე-4 სურათები (ისე, რომ ოთხივე სურათის I-დან მე-4-მდე დანახვა იყოს შესაძლებელი) გააგრძელეთ ამბავი: *პეპელა სწრაფად გაფრინდა და კატა ბუჩქებში ჩავარდა. კატას ეტკინა და გაბრაზდა. ამის შემხედვარე ბიჭი ისეთი გაკვირვებული იყო, რომ ბურთი ხელიდან გაუვარდა. როცა ბიჭმა დაინახა, რომ ბურთი წყალში შეგორდა, ატირდა: „არა, სად ჩავარდა ჩემი ბურთი". ბიჭი დანაღვლიანდა და უნდოდა თავისი ბურთის დაბრუნება. ამ დროს, კატამ ბიჭის სათლი/ ვედრო შენიშნა და გაიფიქრა: "მინდა თევზი მოვიტაცო ვედროდან."*

გახსენით მე-5 და მე-6 სურათები (ისე, რომ ექვსივე სურათის დანახვა იყოს შესაძლებელი) და გააგრძელეთ ამბავი: *იმავე დროს ბიჭმა წყლიდან ანკესით თავისი ბურთის ამოღება დააპირა . მან ვერ შენიშნა, რომ კატა თევზს იპარავდა სათლიდან (ვედროდან). ბოლოს, კატა ძალიან კმაყოფილი იყო, გემრიელი თევზის რომ შეჭამა, ბიჭი კი ბედნიერი იყო ბურთი რომ დაიბრუნა.*

*ეს არის ამ ამბის დასასრული.*

გახსენით სურათები ისე, რომ ბავშვი მხოლოდ ხედავდეს 1-ლ და მე-2 სურათს. უთხარი ბავშვს: *ახლა მე მინდა, რომ შენ მომიყვე ამბავი. შეხედე სურათებს და ეცადე მომიყვე* <u>*საუკეთესო*</u> *ამბავი რაც შეგიძლია. ნებადართულია მითითება თუ ბავშვი თავს იკავებს დაწყებისგან: "მომიყევი ამბავი" (მიუთითით სურათზე)*. როცა ბავშვი დაასრულებს თხრობას პირველი ორი სურათის შესახებ გახსენით შემდეგი (ისე, რომ სურათები 1-დან 4-მდე იყოს ბავშვისთვის ხილვადი). გაიმეორეთ პროცესი სანამ ამბავი არ დასრულდება. ნებადართულია მითითება თუ ბავშვი გაჩუმდება თხრობის პროცესში: *"კიდევ რაიმე?" „გააგრძელე", „მომიყევი უფრო მეტი", „რას ხედავ კიდე ამ ამბავში".* თუ ბავშვი შეწყვეტს საუბარს მითითების გარეშე, რომ მან დაასრულა ამბის მოყოლა ჰკითხე: *„მითხარი, როდესაც დაასრულებ".*

როდესაც ბავშვი დაასრულებს, შეაქეთ და შემდეგ დაუსვით ამბის გაგების კითხვები.

**არჩეული ამბის გაგების ინსტრუქცია**

მოთავსდით ბავშვის პირისპირ. უთხარით ბავშვს: *შეხედე, აქ არის სამი კონვერტი. თითოეულ კონვერტში არის სხვადასხვა ამბავი. აირჩიე ერთ-ერთი და მერე მომიყვები ამბავს.* გაშალეთ სურათები ისე, რომ მთლიან მიმდევრობას მხოლოდ ბავშვი ხედავდეს. *ჯერ შეხედე მთლიან ამბავს. მზად ხარ? მე ვაპირებ გიამბო ამბავი და შემდეგ დაგისვამ რამდენიმე შეკითხვას.*

გაშალე 1-ელი და მე-2 სურათი. აბავი იწყება აქ (მიუთითე პირველ სურათზე): *ერთ მშვენიერ დღეს, ერთმა ცელქმა კატამ დაინახა ყვითელი პეპელა ბუჩქზე. კატამ წინ წაიწია, რადგან უნდოდა პეპლის დაჭერა. ამ დროს, მხიარული ბიჭი, თევზაობიდან ბრუნდებოდა სათლითა (ვედროთი) და ბუშტით ხელში. ბიჭმა დაინახა, როგორ დასდევდა კატა პეპელას.*

გახსენით მე-3 და მე-4 სურათები (ისე, რომ ოთხივე სურათის I-დან მე-4-მდე დანახვა იყოს შესაძლებელი) გააგრძელეთ ამბავი: *პეპელა სწრაფად გაფრინდა და კატა ბუჩქებში ჩავარდა. კატას ეტკინა და გაბრაზდა. ამის შემხედვარე ბიჭი ისეთი გაკვირვებული იყო, რომ ბურთი ხელიდან გაუვარდა. როცა ბიჭმა დაინახა, რომ ბურთი წყალში შეგორდა, ატირდა: „არა, სად ჩავარდა ჩემი ბურთი". ბიჭი დანაღვლიანდა და უნდოდა თავისი ბურთის დაბრუნება. ამ დროს კატამ ბიჭის სათლი/ ვედრო შენიშნა და გაიფიქრა: "მინდა თევზი მოვიტაცო ვედროდან."*

გახსენით მე-5 და მე-6 სურათები (ისე, რომ ექვსივე სურათის დანახვა იყოს შესაძლებელი): *იმავე დროს ბიჭმა ბურთის ამოღება დააპირა წყლიდან თავისი ანკესით. მან ვერ შენიშნა, რომ კატა თევზს იპარავდა სათლიდან (ვედროდან). ბოლოს, კატა ძალიან კმაყოფილი იყო, გემრიელი თევზის რომ შეჭამა, ბიჭი კი ბედნიერი იყო, ბურთი რომ დაიბრუნა.*

*ეს არის ამ ამბის დასასრული.*

იმის მერე, რაც თქვით *"ეს არის ამბის დასასრული"* დაუსვით ამბის გააზრების კითხვები.

## შეფასების ფურცელი კატის ამბისთვის

### ნაწილი I: თხრობა

ა.  ამბის შემადგენლობა; ბ. სტრუქტურის სირთულე; გ. შინაგანი მდგომარეობის აღწერა (შმა)

### ა. ამბის შემადგენლობა

| | | სწორი პასუხების მაგალითები[3] | ქულა |
|---|---|---|---|
| **ა1.** | აღწერა | დროისა და ან ადგილის მითითება, მაგალითად, იყო და არა იყო რა/ ერთ დღეს/ დიდი ხნის წინ… ტბასთან/ ტბაზე/ მდინარის სანაპიროსთან/ წყალთან/ ნაპირთან/ მდელოზე… | 0  1  2[4] |
| *ეპიზოდი 1: კატა (ეპიზოდის პერსონაჟები: კატა და პეპელა)* | | | |
| **ა2.** | შმა, როგორც მოქმედების ინიცირება | **კატა** იყო თამაშის მოყვარული/ ცნობისმოყვარე/ ცელქი<br>**კატამ** დაინახა პეპელა | 0  1 |
| **ა3.** | მიზანი[5] (მ) | **კატას** უნდოდა დაეჭირა პეპელა/ დადევნებოდა პეპელას/ პეპელასთან თამაში<br>(იმიტომ, რომ) + ზმნა (დაჭერა, აღება, თამაში…) | 0  1 |
| **ა4.** | მცდელობა[6] (მც) | **კატა** გადახტა წინ/ ახტა მაღლა<br>**კატა** დაედევნა/ დაიწყო დადევნება<br>**კატა** ეცადა + ზმნა (დაჭერა, აღება …) | 0  1 |
| **ა5.** | შედეგი (შ) | **კატა** ჩავარდა ბუჩქში/ ვერ დაიჭირა პეპელა/ არ იყო საკმარისად სწრაფი<br>**პეპელა** გაიქცა/ გაფრინდა/ იყო სწრაფი | 0  1 |
| **ა6.** | შმა, როგორც რეაქცია | **კატა** იყო იმედგაცრუებული/ გაბრაზებული/ ნატკენი/ დაშავებული<br>**პეპელა** იყო გახარებული/ ბედნიერი | 0  1 |
| *ეპიზოდი 2: ბიჭი (ეპიზოდის პერსონაჟი: ბიჭი)* | | | |
| **ა7.** | შმა, როგორც მოქმედების ინიცირება დაწყება | **ბიჭი** იყო უხასიათოდ/ ნაღვლიანი/ სევდიანი/ დარდობდა ბურთზე<br>**ბიჭმა** დაინახა ბურთი წყალში | 0  1 |

---

[3] თუ გაქვთ ეჭვი, ან თუ ბავშვის მიერ გაცემული პასუხი არ შეესაბამება იმ პასუხებს, რომლებიც მოცემულია შეფასების ფურცელზე, იხელმძღვანელეთ სახლმძღვანელოთი.

[4] ნული ქულა არასწორ პასუხს, ერთი ქულა სწორ პასუხს და ორი ქულა, თუ სწორად მითითებულია დრო და ადგილი.

[5] **მ**იზანი (მ); **მც**დელობა (მც); **შ**ედეგი (შ).

| | | | |
|---|---|---|---|
| **ა8.** | მიზანი | **ბიჭმა** გადაწყვიტა/ მოუნდა თავისი ბურთის დაბრუნება<br>(იმისათვის, რომ) + ზმნა(აღება) | 0 1 |
| **ა9.** | მცდელობა | **ბიჭი** იღებდა/იღებს/ შეეცადა წყლიდან ბურთი ამოეღო | 0 1 |
| **ა10.** | შედეგი | **ბიჭმა** დაიბრუნა ისევ ბურთი<br>**ბურთი** გადარჩა | 0 1 |
| **ა11.** | შმა, როგორც რეაქცია | **ბიჭი** იყო ბედნიერი/ გახარებული/ მოხარული/ კმაყოფილი / გათავისუფლებული (ემოციურად იგულისხმება აქ) (რომ დაიბრუნა თავისი ბურთი) | 0 1 |
| *ეპიზოდი 3: კატა (ეპიზოდის პერსონაჟი: კატა)* | | | |
| **ა12.** | შმა, როგოც მოქმების დაწყება | **კატა** იყო მშიერი/ მსუნაგი/ მოწონდა თევზი<br>**კატამ** შეამჩნია/ დაინახა თევზი | 0 1 |
| **ა13.** | მიზანი | **კატას** უნდოდა/ გადაწყვიტა თევზის აღება/ დაჭერა/ შეჭმა/ მოპარვა<br>(იმისათვის, რომ) + ზმნა (მოპოვება/ შეჭმა…) | 0 1 |
| **ა14.** | მცდელობა | **კატა** იჭერს/ იჭერდა/ თავისკენ ქაჩავს/ ექაჩებოდა/ იღებს/ იღებდა/ იპარავს/ იპარავდა თევზს.<br>**კატა** იჭერს/ თავისკენ ექაჩება/ იღებს თევზს (კალათიდან)/ მიწვდა თევზს<br>**კატა** ეცადა + ზმნა (აღება, დაჭერა, მოპარვა …) | 0 1 |
| **ა15.** | შედეგი | **კატამ** შეჭამა/ მოიპოვა თევზი | 0 1 |
| **ა16.** | შმა, როგორც რეაქცია | **კატა** იყო კმაყოფილი/ ბედნიერი/ ნასიამოვნები/ აღარ შიოდა (ა.შ.) | 0 1 |
| **ა17.** | | **ჯამური ქულა 17-მდე** | |

**ბ. სტრუქტურის კომპლექსურობა/ სირთულე**

| მც, შ მიმდევრობების რაოდენობა | მ-ს რაოდენობა (მც ან შ-ს გარეშე) | მ, მც/ მ, შ მიმდებრობის რაოდენობა | მ, მც, შ მიმდევრობის რაოდენობა |
|---|---|---|---|
| ბ1 | ბ2 | ბ3 | ბ4 |
| | | | |

## გ. შინაგანი მდგომარეობის აღწერა (შმა)

| | |
|---|---|
| გ1. | შმა-ს სრული რაოდენობა მოცემული ქულებით. შმა მოიცავს:<br>**აღქმის მდგომარეობის აღმნიშვნელი ტერმინები/ ლექსიკა,** მაგალითად: *დანახვა, მოსმენა, შეგრძნება, დაყნოსვა.*<br>**ფსიქოლოგიური მდგომარეობის აღმნიშვნელი ტერმინები/ ლექსიკა,** მაგალითად: *მწყურვალე, მშიერი, დაღლილი, დაავადებული, ნატკენი (სტკივა)*<br>**ცნობიერების აღმნიშვნელი ტერმინები/ ლექსიკა,** მაგალითად: *ცოცხალი, გაღვიძებული, მძინარე.*<br>**ემოციის გამომხატველი ტერმინები/ ლექსიკა,** მაგალითად: *ნაღვლიანი, ბედნიერი, გახარებული, გაბრაზებული, განერვიულებული, იმედგაცრუებული, შეშინებული, ამაყი, მამაცი, უსაფრთხო (თავის გრძნობა), ნასიამოვნები, გაოცებული.*<br>**მენტალური მდგომარეობის გამომხატველი ზმნები,** მაგალითად: *სურვილი, ფიქრი, ცოდნა, დავიწყება, გადაწყვეტა, დაჯერება, განციფრება, დაგეგმვა.*<br>**ლინგვისტური ზმნები/ თქმასთან/ თხრობასთან დაკავშირებული ზმნები,** მაგალითად: *თქმა, დაძახება, ყვირილი, გაფრთხილება, კითხვა.* |

## ნაწილი II: გააზრება

| | | სწორი პასუხს მაგალითები | არასწი პასუხს მაგალითები | ქულა |
|---|---|---|---|---|
| **0** | მოგეწონა ისტორია? | **მოსამზადებელი კითხვა, ქულით არ ფასდება** | | |
| **დ1.** | რატომ ხტება კატა? (*მიუთითე სურათები 1-ლი და მე-2*) (ეპიზოდი 1: მიზანი) | პეპლის დაჭერა/ გამოკიდება უნდა/ სურს, პეპელასთან თამაში უნდა<br>უნდა პეპელა (რადგან) + ზმნა (მიღება, აღება) პეპელა(პეპლის) | მიდის/ გარბის/ უნდა გადახტომა / კატები ყოველთვის ხტუნავენ/ დარბიან | 0 1 |
| **დ2.** | როგორ გრძნობს კატა თავს? (*მიუთითე მესამე სურათზე)* (შმა-ში რეაქციაში) | გაბრაზებულად/ ცუდად/ იმედგაცრუებულად/ ნატკენად/ ტკივა/ არც ისე კარგად/ არაკომფორტულად | კარგად/ ბედნიერად | 0 1 |
| **დ3.** | *(დასვით შეკითხვა დ3 თუ ბავშვი სწორად პასუხობს კითხვას დ2 ახსნის გარეშე. თუ დ2 პასუხს მოჰყვა სწორი ახსნა, მიანიჭეთ ქულა დ3-ში დაგადადით კითხვაზე დ4*). რატომ ფიქრობ, რომ კატა გაბრაზებულია/ იმედგაცრუებულია/ გულდაწყვეტილია?[6] | ვერ დაიჭირა პეპელა/ ჩავარდა ბუჩქებში მტკივნეულია ეკლიან ბუჩქში ჩავარდნა პეპელა გაექცა / გაეპარა … | უადგილო/ ირაციონალური პასუხი | 0 1 |
| **დ4.** | რატომ ჩაუშვა ბიჭმა სათევზაო ანკესი წყალში? *(მიუთითე მეხუთე სურათზე)* (ეპიზოდი 2: მიზანი) | უნდოდა მიეღო/ აეღო თავისი ბურთი (უკან)<br><br>უნდა მისი ბურთის დაბრუნება (რადგან) + ზმნა (მიღება, აღება) ბურთი (უკან/ წყლიდან) | წყალში სათამაშოდ | 0 1 |
| **დ5.** | როგორ გრძნობს თავს ბიჭი? *(მიუთითე მე/6 სურათზე)* (შმა-ში რეაქციაში) | კარგად/ მშვენივრად/ კმაყოფილად/ ბედნიერად | სევდიანად/ გაბრაზებულად/ გამწარებულად/ მოწყენილად | 0 1 |

[6] გამოიყენეთ იგივე შმა, რომელიც ბავშვმა მოგცათ დ2 კითხვაზე პასუხის გაცემისას.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **დ6.** | *(დასვით შეკთხვა დ6, თუ ბავშვი სწორად პასუხობს კითხვას დ5 ახსნის გარეშე. თუ დ5 პასუხს მოჰყვა სწორი ახსნა, მიანიჭეთ ქულა დ6-ში და გადადით კითხვაზე დ7)*<br>რატომ ფიქრობთ, რომ ბიჭი თავს გრძნობს კმაყოფილად/ ბედნიერად[7] | ბურთი დაიბრუნა / შეძლო ბურთის დაბრუნება / ამოღება<br><br>მან შეძლო + ზმნა (მიღება, აღება) | ნებისმიერი უადგილო/ შეუსაბამო პასუხი | 0 1 |
| **დ7.** | რატომ იღებს კატა თევზს კალათიდან? *(მიუთითე მე-5 სურათზე)*<br>(ეპიზოდი 3: მიზანი) | გადაწყვიტა/ უნდა შეჭამოს/ ჰქონდეს/ მოიპაროს/ აიღოს თევზი/ შანსს იყენებს, როცა ბიჭი არ უყურებს<br><br>ვერ დაიჭირა პეპელა<br>კატებს უყვართ თევზი (ზოგადი მნიშვნელობა)<br>თევზი გემრიელია | თევზთან უნდა თამაში | 0 1 |
| **დ8.** | წარმოიდგინეთ, რომ ბიჭი ხედავს კატას. რას გრძნობს ის / როგორ გრძნობს ბიჭი თავს? (მიუთითე მე-6 სურათზე) (შმა როგორც რეაქცია) | ცუდად/ გაბრაზებულად/ სევდიანად/ გაცოფებული/ არც ისე კარგად | კარგად/ ბედნიერად კმაყოფილად | 0 1 |
| **დ9.** | *(დასვით შეკითხვა დ9, თუ ბავშვი სწორად პასუხობს კითხვა დ8-ს ახსნის გარეშე. თუ დ8 პასუხს მოჰყვა სწორი ახსნა, მიანიჭეთ ქულა ამ კითხვაში და გადადით კითხვაზე დ10).*<br>რატომ ფიქრობ, რომ ბიჭი თავს ცუდად/ სევდიანად/ | კატამ შეჭამა / აიღო/ კატა ჭამს/ იღებს ბიჭის თევზს<br><br>ბიჭს თვითონ უნდოდა ეჭამა თევზი<br><br>ეს იყო ბიჭის თევზი | ნებისმიერი მიუღებელი/ შეუსაბამო პასუხი | 0 1 |

[7] გამოიყენეთ იგივე შმა, რომელიც ბავშვმა მოგცათ დ5 კითხვაზე პასუხის გაცემისას.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | გაბრაზებულად გრძნობს?[8] | | | |
| **დ10.** | დაუმეგობრდება ბიჭი კატას/ იმეგობრებს ბიჭი და კატა? რატო? | არა - დაასახელე სულ მცირე ერთი მიზეზი (კატამ შეჭამა/ მოიპარა თევზი) ან ნებისმიერი სხვა შესაფერისი პასუხი | დიახ/ არ ვიცი/ ნებისმიერი შეუსაბამო პასუხი | 0 1 |
| **დ11.** | **ჯამური ქულა 10-მდე** | | | |

[8] გამოიყენეთ იგივე შმა, რომელიც ბავშვმა მოგცათ დ8 კითხვაზე პასუხის გაცემისას.

**პროტოკოლი მაღლის ამბისათვის**

თხრობა / სხვისი ნაამბობის გადმოცემა / ამბის აგება

ბავშვის სახელი, გვარი: ______________________

ბავშვის დაბადების თარიღი: ______________________

ცდის თარიღი: ______________________

ასაკი ცდის მომენტისთვის (თვეებში): ______________________

სქესი: ______________________

ექსპერიმენტატორის სახელი, გვარი: ______________________

მეორე ენის (L2) ფლობის პერიოდი (თვეებში): ______________________

საბავშვო ბაღში შესვლის თარიღი: ______________________

საბავშვო ბაღის სახელი: ______________________

დარწმუნდით, რომ ყველა კონვერტი სურათების სერიებით მოთავსებულია მაგიდაზე ცდის დაწყებამდე. მოამზადეთ აუდიო ჩამწერი და დაიწყეთ ჩაწერა მოსამზადებელ ფაზამდე.

**მოსამზადებელი ფაზა**

დაუსვით ბავშვს მსგავსი კითხვები: ვინაა შენი საუკეთესო მეგობარი? რისი ყურება გიყვარს ტელევიზორში? მოგწონს ამბების მოყოლა? გიყვარს ამბების მოსმენა?

**ინსტრუქციები**

**ინსტრუქციები თხრობისთვის**

მოთავსდით ბავშვის პირისპირ და უთხარით: *შეხედე აქ არის სამი კონვერტი. თითოეულ კონვერტში არის სხვადასხვა ამბავი. აირჩიე ერთ-ერთი და მერე მიამბე ეს ამბავი.* გაშალეთ სურათები ისე, რომ მთლიან მიმდევრობას მხოლოდ ბავშვი ხედავდეს. *ჯერ შეხედე მთლიან ამბავს. მზად ხარ?*

გახსენით 1-ლი და მე-2 სურათები (რომლებსაც ხედავს მხოლოდ ბავშვი). უთხარით ბავშვს: *მე მინდა, რომ მომიყვე (მოყვე) ამბავი. შეხედე სურათებს და ეცადე, რომ მიამბო საუკეთესო ამბავი, რომელიც შენ შეგიძლია.* დაშვებულია მინიშნება თუ ბავშვი თავს იკავებს დაწყებისგან: *„მომიყევი ამბავი“* (მიუთითე სურათზე). როცა ბავშვი დაასრულებს 1-ლი და მე-2 სურათის შესახებ თხრობას, გახსენი შემდეგი (ისე, რომ ყველა სურათი პირველიდან მეოთხემდე იყოს ბავშვისთვის ხილული/ აღქმადი). გაიმეორე ეს პროცესი ამბის/ თხრობის დასრულებამდე. ნებადართულია მინიშნება თუ ბავშვი ჩუმდება ამბის თხრობის დროს.: *„დაამატებ კიდევ რამეს?“, ‘‘გააგრძელე“, „მომიყევი უფრო მეტი“, „შეხედე, კიდევ რა არის ამ ამბავში/ ან რას დაამატებდი“.* თუ ბავშვი შეწყვეტს საუბარს მითითების გარეშე, რომ მან დაასრულა ამბის თხრობა ჰკითხე: *„მითხარი, როდესაც დასრულებ“.*

როდესაც ბავშვი დაასრულებს, შეაქეთ და შემდეგ დაუსვით ამბის გაგების კითხვები.

### სხვისი ნაამბობის გადმოცემის ინსტრუქციები

მოთავსდით ბავშვის პირდაპირ და უთხარით: *შეხედე აქ არის სამი კონვერტი. თითოეულ კონვერტში არის სხვადასხვა ამბავი. აირჩიე ერთ-ერთი და მერე მიამბე ეს ამბავი.* გაშალეთ სურათები ისე, რომ მთლიან მიმდევრობას მხოლოდ ბავშვი ხედავდეს. *ჯერ შეხედე მთლიან ამბავს. მზად ხარ? მე მინდა გიამბო ამბავი და შემდეგ შენ შეგიძლია ის მე გამიმეორო.* (არჩეულ ამბავზე უთხარი, რომ: *მე ვაპირებ გიამბო ამბავი და შემდეგ დაგისვამ რამდენიმე შეკითხვას.* მოუყევი ბავშვს ამბავი და შემდეგ დაუსვი ამბის გაგების კითხვები).

გახსენით სურათები 1 და 2 (რომელსაც ხედავს მარტო ბავშვი/ მიუთითეთ პირველ სურათზე) და *დაიწყეთ ამბის თხრობა: ერთ დღეს ძაღლმა, რომელიც თამაშობდა, დაინახა ნაცრისფერი თაგვი ხის მახლობლად. ძაღლი წავიდა ხისკენ, რადგან მას უნდოდა თაგვის დაჭერა. ამ დროს საყიდლებიდან ბრუნდებოდა მხიარული ბიჭი ბუშტითა და ჩანთით ხელში. ბიჭმა დაინახა ძაღლი, რომელიც მისდევდა თაგვს.*

გახსენით სურათები 3 და 4 (ისე, რომ ოთხივე სურათის დანახვა იყოს შესაძლებელი) და გააგრძელეთ ამბის თხრობა: *თაგვი სწრაფად გაიქცა და ძაღლი ხეს დაეჯახა, ბიჭი იყო ისეთი შეშინებული, რომ ბურთი ხელიდან გაუფრინდა. ბავშვმა დაინახა, რომ მისი ბუშტი ხისკენ მიფრინავდა და დაიწყო ტირილი. "ჩემი ბუშტი მიფრინავს! ის იყო მოწყენილი/ დამწუხრებული და მას უნდოდა ბუშტის უკან დაბრუნება. ამ დროს ძაღლმა შეამჩნია ბიჭის ჩანთა და გაიფიქრა: "მინდა ავიღო სოსისი".*

გახსენით სურათები 5 და 6 (ისე, რომ ექვსივე სურათის დანახვა იყოს შესაძლებელი) და გააგრძელეთ ამბის თხრობა. *ამ დროს ბიჭმა დაიწყო ბუშტის ხიდან ჩამოხსნა. ბიჭმა ვერ შენიშნა, რომ ძაღლი იღებდა სოსისს ბიჭის/ მისი ჩანთიდან. საბოლოოდ, ძაღლი იყო კმაყოფილი გემრიელი სოსისის ჭამით და ბიჭი - ბედნიერი ბუშტის დაბრუნებით.*

*ეს არის ამბის დასასრული.*

გახსენით სურათები ისე, რომ ბავშვი მხოლოდ ხედავდეს 1-ლ და მე-2 სურათს. *უთხარი ბავშვს: ახლა მე მინდა, რომ შენ მიამბო ამბავი. შეხედე სურათებს და ეცადე მიამბო საუკეთესო ამბავი რაც შეგიძლია.* ნებადართულია მითითება თუ ბავშვი თავს იკავებს დაწყებისგან: "*მომიყევი ამბავი*" (მიუთითით სურათზე). როცა ბავშვი დაასრულებს თხრობას პირველი ორი სურათის შესახებ გახსენით შემდეგი (ისე, რომ სურათები 1-დან 4-მდე იყოს ბავშვისთვის ხილვადი). გაიმეორეთ პროცესი სანამ ამბავი არ დასრულდება. ნებადართულია მითითება თუ ბავშვი გაჩუმდება თხრობის პროცესში: *"კიდევ რაიმე?", „გააგრძელე", „ მომიყევი უფრო მეტი", „რას ხედავ კიდე ამ ამბავში".* თუ ბავშვი შეწყვეტს საუბარს მითითების გარეშე, რომ მან დაასრულა ამბის თხრობა ჰკითხე: *„მითხარი, როდესაც დაასრულებ".*

როცა იტყვით *„და ეს არის ამბის დასასრული"* დაუსვით ამბის გაგების კითხვები.

### არჩეული ამბის გაგების ინსტრუქცია

მოთავსდით ბავშვის პირდაპირ და უთხარით: *შეხედე აქ არის სამი კონვერტი. თითოეულ კონვერტში არის სხვადასხვა ამბავი. აირჩიე ერთ-ერთი და მერე მე გიამბობ ამბავს.* გაშალეთ სურათები ისე, რომ მთლიან მიმდევრობას მხოლოდ ბავშვი ხედავდეს. *ჯერ შეხედე მთლიან ამბავს. მზად ხარ? მე გიამბობ ამბავს და შემდეგ*

*დაგისვამ რამდენიმე შეკითხვას.*

გახსენით სურათები 1 და 2 (მიუთითეთ პირველ სურათზე): *ერთ დღეს ძაღლმა, რომელიც თამაშობდა, დაინახა ხის მახლობლად ნაცრისფერი თაგვი. ძაღლი წავიდა ხისკენ, რადგან მას უნდოდა თაგვის დაჭერა. ამ დროს საყიდლებიდან ბრუნდებოდა მხიარული ბიჭი ბუშტითა და ჩანთით ხელში. ბიჭმა დაინახა ძაღლი, რომელიც მისდევდა თაგვს.*

გახსენით სურათები 3 და 4 (ისე, რომ ოთხივე სურათის დანახვა იყოს შესაძლებელი). *თაგვი სწრაფად გაიქცა და ძაღლი ხეს დაეჯახა. ძაღლმა თავი იტკინა და ძალიან გაბრაზდა. ბიჭი იყო ისეთი შეშინებული, რომ მას ბუშტი ხელიდან გაუფრინდა. როცა ბავშვმა დაინახა, რომ მისი ბუშტი ხისკენ მიფრინავდა და დაიწყო ტირილი. "ოჰ, არა, ჩემი ბუშტი მიფრინავს!". ბიჭი იყო დამწუხრებული და უნდოდა ბუშტის უკან დაბრუნება. ამ დროს ძაღლმა შეამჩნია ბიჭის ჩანთა და გაიფიქრა: "მინდა ავიღო სოსისი."*

გახსენით სურათები 5 და 6 (ისე, რომ ექვსივე სურათის დანახვა იყოს შესაძლებელი). *ამ დროს ბიჭმა დაიწყო ბუშტის ხიდან ჩამოხსნა. ბიჭმა ვერ შენიშნა, რომ ძაღლი იღებდა სოსისს მისი ჩანთიდან. საბოლოოდ, ძაღლი იყო კმაყოფილი გემრიელი სოსისის ჭამით და ბიჭი - ბედნიერი ბუშტის დაბრუნებით.*

*ეს არის ამბის დასასრული.*

იმის მერე, რაც თქვით *"ეს არის ამბის დასასრული"* დაუსვით ამბის გააზრების კითხვები.

**შეფასების ფურცელი ძაღლის ამბისთვის**

**ნაწილი I: თხრობა**

ა. ამბის შემადგენლობა; ბ. შემადგენლობის კომპლექსურობა; გ. შინაგანი მდგომარეობის აღწერა (შმა)

**ა. ამბის შემადგენლობა**

| | | სწორი პასუხების მაგალითები[9] | ქულა |
|---|---|---|---|
| **ა1.** | აღწერა | დროსა და/ ან ადგილის მითითება მაგ.: იყო და არა იყო რა/ ერთ დღეს დიდი ხნის წინ...<br>ტყეში/ პარკში/ ტბაზე, მდინარის სანაპიროსთან/ წყალთან/ ნაპირთან/ მდელოზე | 0 1 2[10] |
| *პირველი ეპიზოდი: ძაღლი (ეპიზოდის პერსონაჟები: ძაღლი და თაგვი)* | | | |
| **ა2.** | შმა, როგორც მოქმედების ინიცირება | **ძაღლი** იყო თამაშის მოყვარული/ ცნობისმოყვარე<br>**ძაღლმა** დაინახა თაგვი | 0 1 |
| **ა3.** | მიზანი | **ძაღლს** უნდოდა დაეჭირა თაგვი/ დადევნებოდა თაგვს/ თაგვთან თამაში<br>(იმიტომ რომ) + ზმნა (დაჭერა, აღება, თამაში ...) | 0 1 |
| **ა4.** | მცდელობა | **ძაღლი** გადახტა წინ/ ახტა მაღლა<br>**ძაღლი** დაედევნა/ დაიწყო დადევნება<br>**ძაღლი** ეცადა + ზმნა (დაჭერა, აღება ...) | 0 1 |
| **ა5.** | შედეგი | **ძაღლი** თავით დაეჯახა/ დაეჯახა ხეს/ ვერ მოახერხა თაგვის დაჭერა<br>**თაგვი** გაიქცა/ ხის უკან დაიმალა/ იყო სწრაფი | 0 1 |
| **ა6.** | შმა, როგორც რეაქცია | **ძაღლი** იყო იმედგაცრუებული/ გაბრაზებული/ გულნატკენი<br>**თაგვი** იყო გახარებული | 0 1 |
| *მეორე ეპიზოდი: ბიჭი (ეპიზოდის პერსონაჟი: ბიჭი)* | | | |
| **ა7.** | შმა, როგორც მოვლენის/ მოქმედების ინიცირება დაწყება | **ბიჭი** იყო უხასიათოდ/ განიცადა ბუშტის დაკარგვა<br>**ბიჭმა** დაინახა ბუშტი ხეზე | 0 1 |

---

9 თუ გაქვთ ეჭვი, ან თუ ბავშვის მიერ გაცემული პასუხი არ შეესაბამება იმ პასუხებს, რომლებიც მოცემულია შეფასების ფურცელზე, იხელმძღვანელეთ სახელმძღვანელოთი.

10 ნული ქულა არასწორ პასუხს, ერთი ქულა სწორ პასუხს და ორი ქულა, თუ სწორად მითითებულია დრო და ადგილი.

| | | | |
|---|---|---|---|
| ა8. | მიზანი | **ბიჭმა** გადაწყვიტა/ მოუნდა თავისი ბუშტის დაბრუნება (იმიტომ, რომ) + ზმნა (მოპოვება/ აღება) უკან | 0 1 |
| ა9. | მცდელობა | **ბიჭი** ეჭიდება/ იღებს/ შეეცადა ბუშტის ხიდან ჩამოღებას<br>**ბიჭი** ახტა ბუშტის დასაჭერად/ მისწვდა ბუშტს/ აძვრა/ ძვრება ხეზე | 0 1 |
| ა10. | შედეგი | **ბიჭმა** დაიბრუნა თავისი ბუშტი<br>**ბუშტი** გადარჩა | 0 1 |
| ა11. | შმა, როგორც რეაქცია | **ბიჭი** იყო მოხარული/ გახარებული/ კმაყოფილი/ გათავისუფლებული (ემოციურად) (რომ დაიბრუნა მისი ბუშტი) | 0 1 |
| *მესამე ეპიზოდი: ძაღლი (ეპიზოდის პერსონაჟები: ძაღლი)* | | | |
| ა12. | შმა, როგორც მოვლენის/ მოქმედების ინიცირება / დაწყება | **ძაღლმა** დაინახა/ შეამჩნია სოსისი (კალათაში)<br>**ძაღლი** იყო მშიერი/ ცნობისმოყვარე/ უყვარდა სოსისები | 0 1 |
| ა13. | მიზანი | **ძაღლს** უნდოდა/ გადაწყვიტა აღება/ დაჭერა/ შეჭმა/ ქონა(ყოლა)/ მოპარვა სოსისის (იმიტომ, რომ) + ზმნა (მოპოვება/ შეჭმა…) | 0 1 |
| ა14. | მცდელობა | **ძაღლს** იჭერდა/ იჭერს/ თავისკენ ქაჩავს/ ქაჩავდა/ იღებს/ იღებდა/ იპარავს/ იპარავდა სოსისს.<br>**ძაღლი** იჭერს/ თავისკენ ქაჩავს/ იღებს სოსისს (კალათიდან)/ თათს აწვდენს სოსისს<br>ძაღლი ეცადა + ზმნა (აღება …) | 0 1 |
| ა15. | შედეგი | **ძაღლმა** შეჭამა/ მოიპოვა სოსისი | 0 1 |
| ა16. | შმა, როგორც რეაქცია | **ძაღლი** იყო კმაყოფილი/ მოხარული/ გახარებული/ აღარ არის დამშეული | 0 1 |
| ა17. | | **ჯამური ქულა 17-მდე** | |

**ბ. შემადგენლობის კომპლექსურობა**

| მც, შ მიმდევრობების რაოდენობა | მ-ს რაოდენობა (მც ან შ-ს გარეშე) | მ, მც/ მ, შ მიმდებრობის რაოდენობა | მ, მც, შ მიმდევრობის რაოდენობა |
|---|---|---|---|
| ბ1 | ბ2 | ბ3 | ბ4 |
| | | | |

**გ. შინაგანი მდგომარეობის აღწერა (შმა)**

| | |
|---|---|
| გ1. | შმა-ს სრული რაოდენობა მოცემული ქულებით. შმა მოიცავს:<br>**აღქმის მდგომარეობის აღმნიშვნელი ტერმინები/ ლექსიკა,** მაგალითად: *დანახვა, მოსმენა, შეგრძნება, დაყნოსვა.*<br>**ფსიქოლოგიური მდგომარეობის აღმნიშვნელი ტერმინები/ ლექსიკა,** მაგალითად: *მწყურვალე, მშიერი, დაღლილი, დაავადებული, ნატკენი (სტკივა)*<br>**ცნობიერების აღმნიშვნელი ტერმინები/ ლექსიკა,** მაგალითად: *ცოცხალი, გაღვიძებული, მძინარე.*<br>**ემოციის გამომხატველი ტერმინები/ ლექსიკა,** მაგალითად: *ნაღვლიანი, ბედნიერი, გახარებული, გაბრაზებული, განერვიულებული, იმედგაცრუებული, შეშინებული, ამაყი, მამაცი, უსაფრთხო (თავის გრძნობა), ნასიამოვნები, გაოცებული.*<br>**მენტალური მდგომარეობის გამომხატველი ზმნები,** მაგალითად: *სურვილი, ფიქრი, ცოდნა, დავიწყება, გადაწყვეტა, დაჯერაბა, განციფრება, დაგეგმვა.*<br>**ლინგვისტური ზმნები/ თქმასთან/ თხრობასთან დაკავშირებული ზმნები,** მაგალითად: *თქმა, დაძახება, ყვირილი, გაფრთხილება, კითხვა.* |

## ნაწილი II: გააზრება

| | | სწორი პასუხის მაგალითები | არასწორი პასუხის მაგალითები | ქულა |
|---|---|---|---|---|
| **0** | მოგეწონა ამბავი? | **მოსამზადებელი ფრაზა, არ ენიჭება ქულა** | | |
| **დ1.** | რატომ გადახტა ძაღლი? *(მიუთითეთ 1–2 სურათებზე)*<br>(ეპიზოდი 1: მიზანი) | უნდა თაგვის დაჭერა/ თაგვზე დადევნება/ თაგვთან თამაში<br>უნდა თაგვი (რადგან) + ზმნა (დაჭიროს, აიღოს) თაგვი | მიდის/ გარბის/ უნდოდა გადახტომა/ ძაღლები არიან ყოველთვის მოუსვენრები | 0 1 |
| **დ2.** | როგორ გრძნობს თავს ძაღლი/ როგორ ხასიათზეა? *(მიუთითეთ მესამე სურათზე)*<br>(შმა რეაქციაში) | გაბრაზებული/ ცუდად/ იმედგაცრუებული/ ნატკენად/ ტკივა/ არც ისე კარგად/ არაკომფორტულად. | კარგად/ ბედნიერად | 0 1 |
| **დ3.** | *(დასვით შეკთხვა დ3 თუ ბავშვი სწორად პასუხობს კითხვას დ2 ახსნის გარეშე. თუ დ2 პასუხს მოჰყვა სწორი ახსნა მიანიჭეთ ქულა ამ კითხვაში და გადადით კითხვაზე დ4).*<br>რატომ ფიქრობ, რომ ძაღლი გაბრაზებულია/ ნატკენია/ იმედგაცრუებულია?[11] | ვერ დაიჭირა თაგვი/ თავი დაარტყა/ ხეს შეეჯახა<br>მტკივნეულია, როცა ხეს ეჯახები<br>თაგვი გაექცა | შეუფერებელი/ არარელევანტური / შეუსაბამო პასუხი | 0 1 |
| **დ4.** | რატომ გადახტა ბიჭი? *(მიუთითეთ მე-5 სურათზე)*<br>(ეპიზოდი2: მიზანი) | თავისი ბუშტის დაბრუნება უნდა<br>უნდა მისი ბუშტი (რადგან) + ზმნა (დაიბრუნოს) ბურთი | ხეზე აძვრომა უნდა | 0 1 |
| **დ5.** | როგორ გრძნობს ბიჭი თავს? *(მიუთითეთ მე-6 სურათზე)*<br>(შმა რეაქციაში) | კარგად/ კმაყოფილად/ ბედნიერად | ცუდად/ სევდიანად/ გაბრაზებულად/ გაცოფებულად | 0 1 |

[11] გამოიყენეთ იგივე შმა, რაც ბავშვებმა უპასუხეს შემთხვევაში დ2.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **დ6.** | *(დასვით შეკითხვა დ6, თუ ბავშვი სწორად პასუხობს კითხვას დ5 ახსნის გარეშე. თუ დ6 პასუხს მოჰყვა სწორი ახსნა მიანიჭეთ ქულა ამ კითხვაში და გადადით კითხვაზე დ7)*. რატომ ფიქრობთ, რომ ბიჭი თავს გრძნობს ბედნიერად/ კმაყოფილად?[12] | დაიბრუნა თავისი ბუშტი/<br><br>მან შეძლო ბუშტის + ზმნა (აღება…) | იღიმება/ გამოიყურება ისე როგორც… ან ნებისმიერი უადგილო პასუხი | 0 1 |
| **დ7.** | რატომ მიწვდა ძაღლი სოსისს? *(მიუთითეთ მე-5 სურათზე)* (ეპიზოდი 3: მიზანი) | გადაწყვიტა/ უნდა რომ ჭამოს/ იპარავს სოსისს/ იყენებს შანსს/ შესაძლებლობას, როცა ბიჭი არ უყურებს ძაღლმა ვერ დაიჭირა თავგვი<br><br>ძაღლებს უყვართ სოსისი/ ხორცი (ზოგადი დებულება) სოსისი არის გემრიელი | თამაში უნდოდა | 0 1 |
| **დ8.** | წარმოიდგინე, რომ ბიჭი ხედავს ძაღლს. რას გრძნობს ბიჭი? *(მიუთითე მე-6 სურათზე)*<br>(შმა რეაქციაში) | ცუდადაა/ გაბრაზებულია/ დამწუხრებულია/ გაცოფებულია/ არც ისე კარგადაა | კარგადაა/ ბედნიერადაა/ კმაყოფილია/ | 0 1 |
| **დ9.** | *(დასვით შეკითხვა დ9, თუ ბავშვი სწორად პასუხობს დ8-ის ახსნის გარეშე. თუ დ8 კითხვას მოჰყვა სწორი პასუხი მიანიჭეთ ქულა ამ კითხვაში და გადადით კითხვაზე D10).*<br>რატომ ფიქრობ, რომ ბიჭი თავს ცუდად/ გაბრაზებულად/ გაგიჟებულად/ | ძაღლმა შეჭამა/ ჭამს/ აიღო მისი სოსისი.<br><br>ბიჭს უნდოდა სოსისი/ უნდოდა თვითონ ეჭამა/<br><br>სოსისი ბიჭის საკუთრება იყო | ნებისმიერი შეუსაბამო პასუხი | 0 1 |

[12] გამოიყენეთ იგივე შმა რაც ბავშვებმა უპასუხეს შემთხვევაში დ5.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | სევდიანად გრძნობს?[13] | | | |
| **დ10.** | დაუმეგობრდება ბიჭი ძაღლს/ დაუმეგობრდება ბიჭი თუ არა ძაღლს? რატომ? | არა - (პასუხის შემთხვევაში მინიმუმ ერთი მიზეზის დასახელება, მაგ.: ძაღლმა შეუჭამა/ მოპარა სოსისი ან ნებისმიერი სხვა მისაღები პასუხი). | კი/ არ ვიცი ან სხვა არარელევანტური პასუხები | 0 1 |
| **დ11.** | | | **ჯამური ქულა 10-მდე** | |

[13] გამოიყენეთ იგივე შმა, რაც ბავშვებმა უპასუხეს შემთხვევაში დ8.

**პროტოკოლი ბარტყების ამბისათვის**

თხრობა/ სხვისი ნაამბობის გადმოცემა / ამბის აგება

ბავშვის სახელი, გვარი: ______________________

ბავშვის დაბადების თარიღი: ______________________

ცდის თარიღი: ______________________

ასაკი ცდის მომენტისთვის (თვეებში): ______________________

სქესი: ______________________

ექსპერიმენტატორის სახელი, გვარი: ______________________

მეორე ენის (L2) ფლობის პერიოდი (თვეებში): ______________________

საბავშვო ბაღში შესვლის თარიღი: ______________________

საბავშვო ბაღის სახელი: ______________________

დარწმუნდით, რომ ყველა კონვერტი სურათების სერიებით მოთავსებულია მაგიდაზე ცდის დაწყებამდე. მოამზადეთ აუდიო ჩამწერი და დაიწყეთ ჩაწერა მოსამზადებელ ფაზამდე.

**მოსამზადებელი ფაზა**

დაუსვით ბავშვს მსგავსი კითხვები: ვინაა შენი საუკეთესო მეგობარი? რისი ყურება გიყვარს ტელევიზორში? მოგწონს ამბების მოყოლა? გიყვარს ამბების მოსმენა?

**ინსტრუქციები**

**ინსტრუქციები თხრობისათვის**

მოთავსდით ბავშვის პირდაპირ და უთხარით: *შეხედე, აქ არის სამი კონვერტი. თითოეულ კონვერტში არის სხვადასხვა ამბავი. აირჩიე ერთ-ერთი და მერე მიამბე ეს ამბავი. გაშალეთ სურათები ისე, რომ მთლიან მიმდევრობას მხოლოდ ბავშვი ხედავდეს. ჯერ შეხედე მთლიან ამბავს. მზად ხარ?*

